MES 3 20 0000979939

12/10/2020

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა-Zoom-ის გამოყენებით, **2020 წლის 28 სექ ტემბერს.**

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
ნუგზარ სხირტლაძე - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
თამარ ლაღიძე - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი - საბჭოს მდივანი;
ნინო ინასარიძე- სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროგრამის ,,გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია“ და განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;
მაია მანწკავა - სსიპ - ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის რეოლოგიისა და დიაგნოსტიკურ - ანალიტიკური სერვისების განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ - თანამშრომელი;
მორის შალიკაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
იური მღებრიშვილი - საქართველოს ხელოვნების სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტისდირექტორის მოადგილე;
თამარ იოსელიანი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი;

ირმა ჭანტურია - შპს „ღვინის ლაბორატორიის“ დირექტორი.

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

გაგა გვენეტაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.
თამთა მოხევიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია:

1. გიორგი გუგუშვილი - რექტორი
2. ნინო ღაღანიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
3. გივი ყიფიანი - ვიცე-კანცლერი
4. თამილა ლომაძე - ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი
5. ნანა იაშვილი - მედიახელოვნების ფაკულტეტის დეკანი
6. რუსუდან ერისთავი - მედიახელოვნების ფაკულტეტის ხარისხსის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
7. მარინა თევზაია - პროფესორი
8. მაკა ჭიჭინაძე - პროფესორი
9. შოთა დოგრაშვილი - ასისტენტ-პროფესორი
10. ნინო გოჩიტაშვილი - ასისტენტ-პროფესორი
11. ლუკა მიქელაძე - ასოცირებული პროფესორი
12. ანა წერეთელი - ასისტენტ-პროფესორი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

1. ნინო ტალიაშვილი
2. მარიამ დალაქიშვილი

საჩივრის ავტორი:
მარიამ დავითაშვილი

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 14:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილი იყო, რადგან მას ესწრებოდა საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ჩატარებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

1. სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ჩატ არებული
მონიტორინგის შედეგების განხილვა;

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ მათ არ ჰქონდათ თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ 2020 წლის 30 ივნისის შეიქმნა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევალა საჩივარში (2020 წლის 28 მაისის №415199) დასმულ საკითხებთან დაკავშირებით სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგი. საჩივარში დასმული იყო რამდენიმე საკითხი, კერძოდ: 1. საჩივრის ავტორი მედიახელოვნების ფაკულტეტის დეკანს ადანაშაულებს ნეპოტიზმში და მიუთითებს, რომ

ფაკულტეტზე მიმდინარე პროცესები არ არის გამჭვირვალე; 2. საჩივრის ავტორს არ მიეცა სტუდენტთა საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობის უფლება დეკანის ერთპიროვნული გადაწყვეტილების გამო. შესაბამისად, საჩივარში დასმული საკითხების შესწავლის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა სამხატვრო აკადემიიდან გამოითხოვა რიგი დოკუმენტები, რომლებიც მითითებულია დასკვნის შესაბამის ნაწილებში და 2020 წლის 23 ივლისს დაწესებულების წარმომადგენლებთან ჩაატარა გასაუბრება.

23 ივლისს გასაუბრება ჩატარდა შემდეგ პირებთან: საჩივრის ავტორთან, მედიახელოვნების ფაკულტეტის დეკანთან, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან, იმ სამ სტუდენტთან, რომელთა საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობის შესაძლებლობა არ მიეცა საჩივრის ავტორს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ხელმძღვანელთან, იმ აკადემიურ პერსონალთან, რომლებიც ნათესაურ კავშირში იმყოფებიან დეკანთან და მოხსენიებულნი არიან საჩივარში და მედიახელოვნების ფაკულტეტის ყოფილ დეკანთან. ამასთან, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ საჩივრის ავტორმა ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ უნივერსიტეტის სხვა თანამშრომლებსაც ჰქონდათ პრეტენზია და გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას მედიახელოვნების ფაკულტეტზე მიმდინარე ნეგატიურ პროცესებთან დაკავშირებით. 23 ივლისს ინსტიტუციის წარმომადგენლებთან გასაუბრების ჩატარების შემდეგ, ინსტიტუციის რამდენიმე წარმომადგენელმა (რომელთაც მონაწილეობა არ მიუღიათ ინტერვიუებში 23 ივლისს) განცხადებით მიმართა ცენტრს და მოითხოვა ექსპერტებთან გასაუბრება ინსტიტუციაში არსებული ვითარების შესახებ, რაც მიმდინარე შეფასებას უკავშირდებოდა. ცენტრის გადაწყვეტილებით, ექსპერტთა ჯგუფმა 27 ივლისს კვლავ დანიშნა დამატებითი ინტერვიუ ინსტიტუციის რამდენიმე წარმომადგენელთან. აღსანიშნავია, რომ 23 და 27 ივლისს განხორციელებული ინტერვიუების დროს, როგორც საჩივრის ავტორთან, ასევე იმ დამატებით პირებთან, რომელთა ვინაობის კონფიდენციალურობა შენარჩუნებულია მათივე თხოვნით, გაჩნდა ეჭვი იმის შესახებ, რომ ფაკულტეტზე მიმდინარე პროცესები არ არის გამჭვირვალე, რაც შესაძლოა ეჭვქვეშ აყენებდეს მართვის ეფექტიანობას, მართვის ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტურობას. საჩივრის ავტორების განმარტებით, მათ არ აქვთ შექმნილი შესაბამისი სამუშაო პირობები, არ ეძლევათ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა, არ ხდება მათი მოსაზრებების გაზიარება და მათზე ხორციელდება ბულინგი.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა ამ გარემოებების გადამოწმება, მდგომარეობის ანალიზი და შეფასება, რაც მოცემულია ქვემოთ, დასკვნის შესაბამის ნაწილებში.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ საჩივრის ავტორებს განემარტათ, რომ სამუშაო ადგილზე განხორციელებული ბულინგისა, თუ შეურაცხყოფის ხარისხის შეფასება სცილდებოდა ექსპერტთა მანდატს და მათ აღნიშნულთან დაკავშირებით შეეძლოთ მიემართათ შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებისთვის. ამასთან, ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ სტუდენტებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მათი კანონიერი უფლებები და ინტერესები შესაძლოა არ იყოს სათანადოდ დაცული, ვინაიდან მათ განცხადებებზე/საჩივრებზე არ ხდება დროული რეაგირება.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სტუდენტების ინფორმირება არ ხდება ჩატარებული გამოკითხვების შედეგების გაზიარების კუთხით. იმისთვის, რომ ექსპერტთა ჯგუფს ემსჯელა კონკრეტულად მეხუთე სტანდარტთან მიმართებით, იყო თუ არა სახეზე შესაბამისი მოთხოვნები დარღვევა, საჭირო გახლდათ სხვა სტუდენტებთან გასაუბრებაც და დოკუმენტაციის დეტალურად შესწავლა, რაც ექსპერტთა ჯგუფის მანდატით არ იყო გათვალისწინებული.

ექსპერტთა ჯგუფმა საჩივრის შინაარსიდან გამომდინარე, შეფასება განახორციელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2.2 სტანდარტის კომპონენტთან მიმართებით, რომელიც ეხება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს და ასევე მე-4 სტანდართან მიმართებით, რომელიც მოიცავს პერსონალის მართვის საკითხებს.

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა ისაუბრა 2.2 სტანდარტთან მიმართებით და განმარტა, რომ უსდ-ს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და განხორციელებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით უსდ-ში არსებობდა ხარისხის შეფასების მექანიზმები და ინსტრუმენტები. თუმცა აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, ხარისხის შეფასების სისტემურობის მიმართულებით არსებული პრობლემები. ზემოთქმულზე მეტყველებს ერთი მხრივ, ის გარემოება, რომ 2018-2019 წლის გაზაფხულზე ჩატარებული კვლევის შედეგებზე რეაგირების გეგმა/ანგარიში 2020 წლის იანვარში შეიქმნა, მეორე მხრივ კი ის, რომ 2019-2020 წლის შემოდგომის სემესტრის შეფასება, COVID-19-ის პანდემიის მიზეზით, საერთოდ არ განხორციელებულა.
საგულისხმოა ასევე, თავად გამოკითხვის ჩატარების მეთოდი, როგორც სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუბზე აღინიშნა, კითხვარები რიგდება გამოცდის წინ, თავად შესაფასებელი საგნის ლექტორის, ან ადმინისტრაციის თანამშომლის მიერ. ინტერვიუს პროცესში სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ გამოკითხვის ეს ფორმა დისკომფორტს ქმნის, რადგან ერთი მხრივ ამ დროს ისინი გამოცდაზე ფიქრობენ და უჭირთ კონცენტრაცია, მეორე მხრივ კი, განსაკუთრებით, მცირე მოცულობის ჯგუფებში, სადაც მხოლოდ ლექტორი და რამდენიმე სტუდენტია „უხერხულობა“იქმნება შევსებული კითხვარის მიწოდებისას. პრობლემურ საკითხებს შორის, მნიშვნელოვანია რომ სტუდენტებს და აკადემიური პერსონალის ნაწილს არ აქვს ნდობა უნივერსიტეტის შიდა ხარისხის მექანიზმების მიმართ და ვერ ხედავს, კვლევაში მონაწილეობას, როგორც პროცესების გაუმჯობესებაში წვლილის შეტანის საშუალებას.
აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინტერვიუებზე აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მიერ დასახელებული პრობლემები არ იყო მოცემული ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილ ანგარიშებში, რაც თავის მხრივ გამოყენებული მეთოდებისა და ინსტრუმენტების რევიზიის საფუძველს წარმოადგენს. ხარისხის შეფასებისა და საჭიროებების დადგენის მიზნით ჩატარებული კვლევის ანგარიშები იყო მწირი და არაინფორმაციული. რიგ შემთხვევებში რთული იყო მსჯელობა, თუ რას ეყრდონა არსებული ნარატივი, რაც შედეგების და მონაცემების ინტერპრეტაციის სანდოობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.
ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინტერვიუებზე დაყრდნობით ჩანს, რომ კვლევის შედეგების შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობა, შედეგებზე რეაგირება და მათი გამოყენება პროცესების მართვასა და დაგეგმვაში, არ ატარებდა სისტემურ ხასიათს.

რეკომენდაციები სტანდარტთან მიმართებით:

1. გადაიხედოს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად;
2. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში ჩაერთოს ყველა დაინეტრესებული მხარე;
3. მნიშვნელოვანია ხარისხის უზრუნველყოფის ქმედითი მექანიზმების შემუშავება;
4. უსდ-მ უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის სრულფასოვანი შესრულება.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ისაუბრე მე-4 სტანდარტთან მიმართებით, რომელიც წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალის მართვის საკითხს, კერძოდ, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის შესაბამისად უსდ-ს შემუშავებული უნდა ჰქონდეს პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული მართვის პოლიტიკა, რომელიც მოიცავს:

- პერსონალის მართვის ზოგად პრინციპებსა და წესებს;
- პერსონალის სამსახურში მიღების (არჩევა/დანიშვნა) გამჭვირვალე და ობიექტურ პროცედურას, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პოზიციებზე კვალიფიციური კადრების მოზიდვასა და დასაქმებას;
- აფილირების წესსა და პირობებს;

- აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საგანმანათლებლო, კვლევით/ შემოქმედებით / საშემსრულებლო და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მონაწილეობის პრინციპებს;
- პერსონალის პროფესიული განვითარების მიდგომებსა და სტრატეგიას;
- წინასწარ ჩამოყალიბებულ ანაზღაურებისა და წახალისების პრინციპებს, რომლებიც ითვალისწინებს თანამშრომელთა მუშაობის შეფასების შედეგებს;

ამასთან, უსდ პერსონალის მართვის პროცესში აქტიურად უნდა იყენებდეს პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა, როგორც გამოთხოვილი დოკუმენტების, ასევე ჩატარებული ინტერვიუების დროს, შეამოწმა ზემოთ დასმული საკითხების შესაბამისობა ავტორიზაციის მე-4 სტანდარტის მოთხოვნებთან. საკითხების ყოველმხრივი გამოკვლევის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფი შესაბამის მტკიცებულებებზე დაყრდნობით, მივიდა შემდეგ დასკვნამდე:
დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის შესაბამისადაც საკადრო პოლიტიკის მიზანია: ,,განსაზღვროს აკადემიაში დასაქმებული პერსონალის მართვის მექანიზმები. ხელი შეუწყოს აკადემიაში დასაქმებული პერსონალის პროფესიულ განვითარებას, მოტივაციის ამაღლებას, კარიერული ზრდის ხელშეწყობას, ინფორმირებას და მართვისა და ანგარიშგების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას“. ჩატარებული ინტერვიუების დროს რიგ შემთხვევებში პოლიტიკის დოკუმენტში გაკეთებული ჩანაწერების საპირისპირო ინფორმაცია დადასტურდა.
საჩივრის ავტორების განმარტებით აკადემია არ უწყობდა ხელს მათ პროფესიულ განვითარებაში, პირიქით ახდენდა მათ დემოტივაციას. პერსონალის მართვის პოლიტიკაში მოცემული იყო ჩანაწერები პერსონალის საქმიანობის შეფასების შესახებ, ასევე დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა პერსონალის საქმიანობის შეფასების წესიც. პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით: ,,თანამშრომელს წარედგინება დასაბუთებული ინფორმაცია შედეგების შესახებ, მისი შესაბამისობის ხარისხი დაკავებულ თანამდებობასთან და მოცემული პოზიციის მოთხოვნებთან. დგება სწავლებისა და განვითარების ინდივიდუალური და ჯგუფური გეგმები. შესაფასებელ პირს წარედგინება წერილობითი რეკომენდაცია“. ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ პერსონალს არ ეძლეოდა უკუკავშირი განხორციელებული შეფასებების შესახებ. ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ხელმძღვანელის განმარტებით აკადემიას დაქირავებული ჰყავდა პირი, რომელმაც ერთხელ განახორციელა პერსონალის საქმიანობის შეფასება. ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმები (შესაბამისი კითხვარის ნიმუში, შეფასების ჩატარების წესი) და მათი გამოყენების შედეგები. თუმცა დაწესებულების მხრიდან რეაგირების ანგარიშის ნაცვლად, წარმოდგენილ იქნა მხოლოდ შეფასების ანალიზი, საიდანაც არ ირკვეოდა, თუ როგორ მოხდა შეფასების შედეგების გამოყენება პერსონალის მართვაში, შეფასებებზე დაყრდნობით როგორ მოხდა პერსონალის პროფესიული განვითარება, შეფასების შედეგები წარმოადგენდა თუ არა საფუძვლად წახალისებას და ა.შ. ექსპერტთა ჯგუფმა ვერ დაინახა ჩატარებული შეფასების მიზნობრიობა. პროფესიული განვითარების კუთხით 2019 წლის ივლისში ჩატარებულია პერსონალისთვის ინგლისური ენის კურსები, რომლის საფუძველი გახდა ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციები. 2. აკადემიური/მოწვეული/ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევის წესი - ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, 34-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ,,აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს“. ექსპერტთა მიერ გამოთხოვილ იქნა კონკურსის გამოცხადების ბრძანებები და კონკურსანტთა შეფასების ოქმები. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და აკადემიურ პერსონალთან განხორციელებული ინტერვიუების შედეგად

გამოიკვეთა, რომ საკონკურსო კომისია აფასებს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობას საკონკურსო პირობებთან/მოთხოვნებთან მიმართებით და კენჭს უყრის კანდიდატებს. დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული კონკურსანტთა შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმები, ოქმებიდან არ ჩანს თუ როგორ ხდებოდა კანდიდატის შეფასება. ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ 2014 წლის 16 აგვისტოს და 2018 წლის 11 აგვისტოს ოქმებში მოცემული იყო ჩანაწერები, რომლის შესაბამისადაც მიუხედავად იმისა, რომ გამოცხადებული იყო მაგალითად 3 ვაკანტური თანამდებობა, კომისიას 4 კანდიდატი მოეწონა და ფაკულტეტის საბჭოს მიეცა რეკომენდაცია საშტატო ერთეულის დამატების შესახებ. აღნიშნული მიდგომა დაადასტურა ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ხელმღვანელმაც.

აკადემიური კონკურსის ჩატარების წესის მე-12 მუხლის შესაბამისად, საკონკურსო კომისია უფლებამოსილია გასცეს რეკომენდაცია, რომ ყველა მოწონებული კანდიდატი დაინიშნოს აკადემიურ თანამდებობაზე ვაკანტური ადგილის მიუხედავად. ზემოაღნიშნული პრინციპი ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპს. დაწესებულების მართვის პოლიტიკისა და შინაგანაწესის მიხედვით, დამხმარე და შტატგარეშე თანამშრომლების შერჩევა ხდება კონკურსის გზით ან კანცლერის გადაწყვეტილებით.

საჩივარში დასახელებული პირი, მარიამ იაშვილი (მედიახელოვნების ფაკულტეტის დეკანის შვილი), რომელიც იკავებდა მედიახელოვნების ფაკულტეტზე კოორდინატორის პოზიციას შეირჩა ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით. წარმოდგენილი ოქმიდან არ იკვეთებოდა, თუ როგორ მოხდა კანდიდატის შერჩევა ან მისი შეფასება, ჩატარდა თუ არა მასთან გასაუბრება. ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ მარიამ იაშვილმა შემოთავაზება მიიღო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისგან.

ჩატარებული ინტერვიუების დროს ასევე დადგინდა, რომ პერსონალი არ იყო ჩართული საგანმანათლებლო, კვლევით/შემოქმედებით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. აღსანიშნავია, რომ პერსონალთან არ ხდებოდა არც შეფასების შედეგების და არც კმაყოფილების კვლევის შედეგების გაზიარება.

დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა აფილირების წესი და პირობები, თუმცა პერსონალის დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ დაფინანსების კუთხით ინსტიტუციაში არსებობდა პრობლემები არასაკმარისი ფინანსების გამო.

ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შრომის ხელშეკრულების ნიმუშის თანახმად, აფილირებულ პერსონალს ეძლეოდა ყოველთვიური ფიქსირებული. როგორც ხელშეკრულებიდან ირკვევა სასწავლო, ასევე სამეცნიერო საქმიანობისთვის პერსონალს ეძლევა ფიქსირებული ანაზღაურება, დამატებით კვლევების დაფინანსების შესახებ პერსონალს არ უსაუბრია.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ აკადემიური პერსონალი ინფორმირებული იყო აკადემიური საქმიანობის შეფასების სისტემის შესახებ და ავსებდა ე.წ. თვითშეფასების ფორმას, თუმცა უკუკავშირს აღარ ღებულობდა.

რაც შეეხება საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობის საკითხს, რომელიც საჩივრის ავტორის საქმიანობისთვის ხელის შეშლად იქნა მიჩნეული, სადაც მისივე თქმით გამოიკვეთა დეკანის ერთპიროვნული გადაწყვეტილება, დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ოქმი, რომლის შესაბამისადაც ნაშრომის დაცვა გადაიდო მომავალ სემესტრში, ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ საჩივრის ავტორი სხვა პროფესორთან ერთად უხელმძღვანელებდა სტუდენტებს.

ამასთან, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი იყო მედიახელოვნების ფაკულტეტის ყოფილი დეკანის წერილი, რომელშიც მედია ხელოვნების ფაკულტეტის ყოფილი დეკანი აცხადებდა, რომ მედიახელოვნების ფაკულტეტის დეკანმა, ნანა იაშვილმა წინასწარ განიხილა კვლევითი ინსტიტუტის სხდომაზე გარკვეული პირების B კატეგორიის მეცნიერ თანამშრომლად და მთავარ მეცნიერ თანამშრომლად გადაყვანის საკითხი, მაშინ როდესაც სამეცნიერო პერსონალი თანამდებობას იკავებდა ღია კონკურსის

გზით,აღნიშნულის დამადასტურებლად მედიახელოვნების ფაკულტეტის ყოფილი დეკანის მიერ მითითებულ იქნა 2018 წლის 27 სექტემბრის სხდომის ოქმი, რომელიც ექსპერტების მიერ გამოთხოვილ იქნა, მაგრამ ინსტიტუციამ წარმოადგინა მხოლოდ ამონაწერი ოქმიდან, რომელიც ეხებოდა მხოლოდ მედიახელოვნების ფაკულტეტის ამჟამინდელი დეკანის, ნანა იაშვილის მიერ ინსტიტუტის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გადადგომას, შესაბამისად ვერ დადგინდა 2018 წლის 27 სექტემბრის სხდომის ოქმში ნამდვილად არის თუ არა საუბარი გარკვეული პირების დაწინაურებაზე.
ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2019 წლის ბრძანებით მედიახელოვნების ფაკულტეტის ყოფილი დეკანის მიერ წერილში აღნიშნული პირები დაინიშნენ A კატეგორიის მთავარ მეცნიერ თანამშრომლად და B კატეგორიის მეცნიერ თანამშრომლად.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ასევე აღნიშნა, რომ მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტები შეზღუდულნი იყვნენ კონკრეტული სტანდარტების შეფასებისგან, თუმცა საყურადღებოა, რომ დაწესებულებაში იკვეთებოდა პრობლემები მართვასთან დაკავშირებით და ასევე სახეზე იყო პერსონალის ჩართულობისა და ინფორმაციულობის ნაკლებობა.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ დააზუსტა ჰქონდათ თუ არა ექსპერტებს შესაძლებლობა გაცნობოდნენ ოქმს სამეცნიერო პერსონალთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ოქმთან დაკავშირებით ექსპერტები გაესაუბრნენ ფაკულტეტის ყოფილს დეკანს, რომელმაც განმარტა რომ ქალბატონი ნანას მიერ დეკანის პოზიციის დაკავებამდე, იგი წარმოადგენდა სამეცნიერო ჯგუფის ხელმძღვანელს. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში ჩატარდა სხდომა, რომელზეც მოხდა რამდენიმე პირის მეცნიერ და მთავარ მეცნიერ თანამშრომლად დანიშვნა, მაშინ, როდესაც სამეცნიერო პერსონალი კონკურსის წესით უნდა ყოფილიყო არჩეული.
ექსპერტებმა გამოითხოვეს ოქმები, ხოლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა მხოლოდ ოქმის ამონაწერი. შესაბამისად, შეუძლებელი იყო ზემოაღნიშნული ფაქტის დადასტურება. ექსპერტებისთვის მიწოდებულ ოქმის ამონაწერში მოცემული იყო, რომ ქალბატონმა ნანამ უარი თქვა ხელმძღვანელის პოზიციაზე.
საბჭოს წევრმა, ნუგზარ სხირტლაძემ დააზუსტა, თუ როგორ მოხდა ექსპერტთა მიერ რესპოდენტების არჩევა.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ექსპერტები გაეცნენ კმაყოფილების კვლევას. ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები იყო საკმაოდ კომპლექსური. შეხვედრების შედეგად გამოიყო რამდენიმე პრობლემური საკითხი, თუმცა აღნიშნული არ იყო მოცემული კვლევით ანგარიშებში.
დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ დისტანციურ რეჟიმში ექსპერტთა ვიზიტის განხორციელება საკმაოდ რთული და შრომატევადი პროცესი იყო. მან ასევე განაცხადა, რომ ცენტრმა დაწესებულებას წესისამებრ გაუგზავნა აკადემიურ პერსონალთა გვარები, რომლებთან შეხვედრაც დაწესებულების მხრიდან იქნა უზრუნველყოფილი. თუმცა აკადემიური პერსონალის დარჩენილმა ნაწილმა, ვიზიტის მიმდინარეობის დროს გამოთქვა ექსპერტებთან შეხვედრის სურვილი. ვიზიტის დასრულების შემდგომ, ცენტრის წარმომადგენელმა სამსახურის უფროსს გაუზიარა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აკადემიური პერსონალის გარკვეულმა ნაწილმა, რომელთა შესახებაც ინფორმაცია კონფიდენციალურია, მოითხოვა დამატებითი შეხვედრა, რაც ვერ ჩატარდა. პრაქტიკულად შეიძლება ითქვას, რომ ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები ჩატარდა მხოლოდ აკადემიური პერსონალის გარკვეულ ნაწილთან.
საბჭოს წევრმა, მორის შალიკაშვილმა მიმართა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ ექსპერტებმა მოხსენების დროს ისაუბრეს საკონკურსო საბჭოს გადაწყვეტილებებზე და შესაბამისად დაინტერესდა, ხელმისაწვდომი იყო თუ არა აღნიშნული გადაწყვეტილებები მათთვის.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ გამოთხოვილი იქნა აღნიშნული საბჭოს ოქმები, შესაბამისად ისინი დეტალურად გაეცნენ გადაწყვეტილებებს.

საბჭოს წევრი, მაია მანწკავა დაინტერესდა დაწესებულების მიერ მოწოდებულ დოკუმენტებში მოცემული იყო თუ არა მკაფიოდ განსაზღვრული კრიტერიუმები და განმარტებები, როგორიცა განსხვავება პროფესორსა და ასოცირებულ პროფესორს შორის. ასევე იგი დაინტერესდა აფელირების საკითხით.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ პერსონალთან დაკავშირებულ დოკუმენტებში, მოცემული იყო აუცილებელი კრიტერიუმები, რის შედეგადაც ხდებოდა კონკურსის დროს საბუთების გადარჩევა, ხოლო უმრავლესობით არჩევის შემთხვევაში, შეფასება არ იყო მოცემული, ასევე არ არსებობდა ქულობრივი შეფასების სისტემა. რაც შეეხება აფელირებას, დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა აფელირების წესი. დაწესებულების მცირე ფინანსური რესურსიდან გამომდინარე, არ ხდებოდა პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის დაფინანსება და ხელშეწყობა.
განმცხადებელმა, აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი იყო როგორც დეკანის, ასევე ფაკულტეტზე მყოფი პერსონალის ცვლილება და სტუდენტთა სადიპლომო ნაშრომების დაცვის კომისია ცვლილება, რადგანაც აღნიშნულის დაკომპლექტება მოხდა ნეპოტიზმზე დაყრდნობით. აღსანიშნავია, ასევე, რომ 2022 წლის აკადემიური პერსონალის არჩევნები უნდა განსაზღვრულიყო უფრო განსხვავებული წესით, რადგან სახეზე კვლავ არ ყოფილიყო ნეპოტიზმი.
საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ დააზუსტა არსებობდა თუ არ პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით სასამართლო დავა.
განმცხადებელმა განმარტა, რომ სასამართლოსადმი მიმართვას არ ჰქონია ადგილი.
დაწესებულების ვიცე-კანცლერმა განაცხადა, რომ სასამართლო დავები მუდმივად მიმდინარეობდა. არჩევნების შესახებ სახეზე იყო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება. სასამართლომ ინსტიტუციაში მიმდინარე საარჩევნომ პროცესი განსაზღვრა, როგოც კანონთან შესაბამისი. დაწესებულებას არჩევნებთან დაკავშირებით ყველა არსებული დავა ჰქონდა მოგებული, თუმცა, ინსტიტუცია იზიარებდა იმას, რომ მოცემული საკითხი საჭიროებდა სრულყოფას. დაწესებულებას ასევე დაგეგმილი ჰქონდა საკითხის მოწესრიგების მიზნით გარკვეული რეფორმების გატარება.
განმცხადებელმა განმარტა, რომ ფაკულტეტის ფარგლებში ფუნქციონირებდა სამი პროგრამა, ციფრული მედია, გრაფიკული დიზაინი და ფოტოგრაფია, შესაბამისად სასურველი იყო პროგრამის ხელმძღვანელების განსაზღვრა დარგების მიხედვით.
საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ხელმძღვანელების დანიშვნის საკითხი წარმოადგენდა ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილებას და ავტორიზაციის საბჭოს არ შეეძლო აღნიშნულზე მითითებების გაკეთება.
საბჭოს წევრმა, მორის შალიკაშვილმა დაზუსტა სტუდენტის შეფასებისა და მისი ხელმძღვანელობისთვის წარმოადგენდა თუ არა ნეპოტიზმით არჩეული პროფესურა გარვეული შეზღუდვებისა თუ დაჩაგვრის საფუძველს.
განმცხადებელი აღნიშნულს დაეთანხმა.
საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, თუ რამდენი პირი იმყოფებოდა ფაკულტეტის ფარგლებში აკადემიურ პოზიციაზე.
დაწესებულების დეკანმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტზე წარმოდგენილი იყო 27 აკადემიური პერსონალი, რომელიც ასევე აკომპლექტებდა ფაკულტეტის საბჭოს.
დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა აკადემიური პერსონალის არჩევის პროცედურაზე და განმარტა, რომ ვაკანტურ პოზიციაზე გამოცხადებული კონკურსის დროს კომისიის შემადგენლობაში აუცილებლად შედიოდნენ მოწვეული დარგის სპეციალისტები. ასევე აღსანიშნავია, რომ კრიტერიუმები მოიაზრებდა გამოცხადებულზე მეტი პირის დანიშვნას აკადემიურ თანამდებობაზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებზე და აღნიშნა, რომ ის მოიცავდა ერთ საუნივერსიტეტო და ხუთ საფაკულტეტო სამსახურს. წარმომადგენელის განცხადებით, სტუდენტთა გამოკითხვა ერთ-ერთ მთავარ მექანიზმს

წარმოადგენდა. პანდემიის პირობებში თავდაპირველად აღნიშნულის განხორციელება დაგვიანებით მოხდა, თუმცა აპრილში სტუდენტებისთვის შემუშავებული იქნა ახალი ელექტრონული კითხვარი. გამოკითხვა მიმდინარეობდა მაისის ბოლომდე. ექპერტების ვიზიტის დროს კი მიმდინარეობდა შედეგების დამუშავება. გამოკითხვის შედეგები, მისი ანალიზი და რეკომენდაციები წარმოდგენილი იყო საბჭოზეც. აღნიშნულის პარალელურად მოხდა ახალი ელექტრონული კითხვარის დამუშავება, რომელიც ეხებოდა თითოეულ სასწავლო კურსს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე გამოყო აკადემიური პერსონალისა და დაინტერესებული პირების ჩართულობის საკითხი და აღნიშნა, რომ ინსტიტუციაში ჩართულობისა და აზრის გამოხატვის მექანიზმები მუდმივად მოქმედებდა, თუმცა პერსონალის მიერ მათი გამოყენება არ მომხდარა. აღსანიშნავია ასევე ფაკულტეტის მიერ ჩატარებული ვიზუალური კვლევის პროექტი, რომელმაც კმაყოფილების კვლევის ფუნქციაც შეითავსა. აღნიშნულზე ხდებოდა ნებისმიერი მოსაზრების დაფიქსირება, როგორც სტუდენტის, ასევე პერსონალის მიერ და შემდგომ მისი ანალიზი. მნიშვნელოვანია, რომ პროცესი იყო სრულიად ღია.

ინსტიტუციის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სამწუხაროდ არ ხდებოდა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის ფინანსური წახალისება, რის მიზეზსაც დაწესებულების მწირე დაფინანსება წარმოადგენდა. თუმცა დაწესებულება ორი წლის განმავლობაში მუშაობდა დაფინანსების ახალ მოდელზე, რომელიც განსახილველად იქნა გადაგზავნილი, როგორც პარლამენტის შესაბამის კომიტეტში, ასევე სამინისტროში.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ მიმართა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დეკანს და დააზუსტა თუ რა გზით ხდებოდა ადმინისტრაციული შერჩევა და მოუწოდა მას ნეპოტიზმის ბრალდებასთან დაკავშირებით პოზიციის დაფიქსირებისკენ.

ინსტიტუციის დეკანმა განმარტა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში ტერმინი ნეპოტიზმი მას საკმაოდ უსამართლოდ მიაჩნდა. გასული ოთხი წლის განმავლობაში იგი არ ახორციელებდა დეკანის უფლებამოსილებას და შესაბამისად თანამდებობას იდენტური აკადემიური პერსონალი იკავებდა. რაც შეეხება პროგრამებს, ისინი ამჟამინდელი დეკანის მიერ იქნა დანერგილი. დაწესებულება კვლავ აგრძელებდა ახალ პროგრამებზე მუშაობას და მათ აკრედიტაციის მისანიჭებლად მომზადებას.

რაც შეეხება ადმინისტრაციულ პერსონალს, სტაბილურად, დიდი ხნის მანძილზე ფაკულტეტზე თითქმის არ შეცვლილა. სამწუხაროდ დაწესებულების ახალგაზრდა თანამშრომლებმა პოზიციები თავისი ნების შესაბამისად დატოვეს. შერჩევა ხდებოდა რეკომენდაციების საშუალებით, რასაც შემდგომ განიხილავდა თავად ფაკულტეტი და ამტკიცებდა ფაკულტეტის საბჭო. შესაბამისად გადაწყვეტილების მიღება არ ხდებოდა ერთი ადამიანის სურვილით, ერთპიროვნულად.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ დააზუსტა, მოხდა თუ არა აკადემიურ პერსონალის საკონკურსო წესით შერჩევა დეკანის თანამდებობის დაკავებამდე.

ფაკულტეტის დეკანმა აღნიშნული დაადასტურა და აღნიშნა, რომ იმ საკონკურსო არჩევნებზე, სადაც დასაშვები იყო კონფლიქტი მონაწილეობა არ მიუღია. საკითხი ეხებოდა თავად დეკანის შვილს, რომელიც ფაკულტეტის კურსდამთავრებულია. აღნიშნული დასტურდება საოქმო ჩანაწერებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა არჩევნების პროცედურა და აღნიშნა, რომ თავდაპირველად მოხდა აკადემიური პერსონალის არჩევა, რის შედეგადაც მოხდა ფაკულტეტის საბჭოს ფორმირება, ხოლო შემდგომ უკვე განხორციელდა ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და დეკანის არჩევა.

თამარ ზარანდიამ მოუწოდა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობის საკითხის განმარტებისკენ.

ფაკულტეტის დეკანმა აღნიშნა, რომ მოცემულ საკითხთან მიმართებით არსებობდა გაუგებრობა კანონსა და წესდებას შორის. წესდების შესაბამისად, ფინანსური სარგებელი

ხელმძღვანელობის ფარგლებში არც ერთ აკადემიურ თანამდებობაზე მყოფ პირს არ ჰქონდა. აქედან გამომდინარე, ყველა აკადემიური პერსონალი, განსაკუთრებით კი ასოცირებული და აფელირეული პროფესორები ვალდებულები იყვნენ წაეყვანათ კურსი მათი კომპეტენციისა და მიმართულების შესაბამისად. დაწესებულების მიერ დადგენილია ხელმძღვანელობის ლიმიტი, 8 სტუდენტი. აუცილებლობის შემთხვევაში, საბაკალავრო ნაშრომს ხელმძღვანელობდნენ ასისტენტ-პროფესორები. რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომს, მისი ხელძღვანელობა შეეძლოთ მხოლოდ ასოცირებულ და აფელირებულ პროფესორებს.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა მიეცა თუ არა განმცხადებელს ხელმძღვანელობის შესაძლებლობა.

ფაკულტეტის დეკანმა აღნიშნა, რომ განმცხადებელს ჰქონდა ხელმძღვანელობის შესაძლებლობა, ხოლო გარკვეული პროფესორები დაინიშნენ თანახელმძღვანელებად.

განმცხადებელმა აღნიშნა, რომ ბაკალავრის საფეხური არ წარმოადგენდა კვლევით საფეხურს, რომ საჭირო ყოფილიყო ორი ხელმძღვანელი. აღნიშნულის აუცილებლობა მდგომარეობა კვლევით საფეხურზე, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაზე. წესდების თანახმად, ბაკალავრიატის ხელმძღვანელობის უფლება ასისტენტ-პროფესორს ჰქონდა დამოუკიდებლად, რაც წლების განმავლობაში ფაკულტეტზე ხორციელდებოდა. ასევე მან აღნიშნა, რომ ფაკულტეტის საბჭო დაკომპლექტებული იყო ნეპოტიზმის საფუძველზე, ხოლო გადაწყვეტილების მიღება ხორციელდებოდა დეკანის აზრისა და შეხედულების შესაბამისად. აქედან გამომდინარე საბჭოს ვერ იღებდა ობიექტურ გადაწყვეტილებებს.

დაწესებულების წარმომადგენლმა, რუსუდან ერისთავმა, ასევე ისაუბრა ნეპოტიზმის ფაქტთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ იგი ნათესაურ კავშირში იმყოფებოდა ფაკულტეტის დეკანთან, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ იგი დაწესებულებაში მუშაობდა 1996 წლიდან, მაშინ, როა ფაკულტეტის დეკანი არანაირ თანამდებობას არ იკავებდა აკადემიაში.

საბჭოს წევრმა, მორის შალიკაშვილმა დააზუსტა ფაკულტეტზე პროფესორთა რაოდენობა, რაზეც დეკანმა განცხადა, რომ ფაკულტეტზე აკადემიურ პოზიციას იკავებდა 27 პირი, რომლებიც ასევე წარმოადგენდნენ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს.

მორის შალიკაშვილი ასევე დაინტერესდა, ფაკულტეტზე მყოფი აკადემიური პერსონალიდან თუ რამდენი პირი იმყოფებოდა ნათესაურ კავშირში ამავე ფაკულტეტის დეკანთან.

ფაკულტეტის დეკანმა განმარტა, რომ საუბარი იყო 2 პირზე, მის მაზლსა და შვილზე.

მორის შალიკაშვილმა ამავე კითხვით მიმართა განმცხადებელს, რომელმაც აღნიშნა, რომ დეკანთან ნათესაურ კავშირში იმყოფებოდა 12 პირი.

საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა, მოხდა თუ არა აღნიშნული პრობლემური საკითხის განხილვა ეთიკის კომისიის მიერ აკადემიის ფარგლებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოცემული საკითხის განხილვა არ მომხდარა ეთიკის კომისიის მიერ.

საბჭოს წევრი მაია მანწკავა დაინტერესდა იყო თუ არა განმცხადებელსა და დაწესებულებას შორის დადებული შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხელმძღვანელად დანიშვნის აუცილებლობა.

განმცხადებელმა აღნიშნა, რომ წესდების შესაბამისად, B კატეგორიის პროფესორს ჰქონდა დამოუკიდებელად ბაკალავრიატის სტუდენტის ხელმძღვანელობის უფლება. ამასთან განმცხადებელმა განმარტა, რომ იგი იყო მედია ხელოვნების დოქტორი და შესაბამისად, ჰქონდა ხელმძღვანელად ყოფნისთვის საჭირო კვალიფიკაცია. აღნიშნული ასევე წარმოადგენდა სტუდენტების სურვილს.

საბჭოს წევრმა მიმართა ფაკულტეტის დეკანს შეკითხვით და დააზუსტა თუ რომელ პროგრამებს ხელმძღვანელობდა.

ფაკულტეტის დეკანმა განმარტა, რომ იგი ხელმძღვანელობდა ციფრული მედიის, როგორს საბაკალავრო , ასევე სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე, გრაფიკული დიზაინისა და ფოტოგრაფიის პროგრამებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კიდევ ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები და რადგან კითხვები აღარ იყო საბჭო გავიდა შესვენებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 16:00 წუთზე.
საბჭოს სხდომა განახლდა: 16:12 წუთზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიისთვისდაფიქსირებული ხარვეზის გამოსასწორებლად 60 დღიანი ვადის მიცემის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლი პირველი, მე-12 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიასდაფიქსირებული ხარვეზის გამოსასწორებლად განესაზღვროს 60 დღის ვადა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დასრულდა 16:16 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ზარანდია თამარ



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლაღიძე თამარ